საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №16
2024 წლის 26 მარტი

ქ. თბილისი

„სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებაში (სსმ, №94, 02/07/2007, 010.240.060.22.034.010.501) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესის:

1. 14^4 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. 14^5 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ლიზინგის საგნის სრულყოფილი იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს;“;

ბ) მე-11 და მე-12 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. 14^{11} მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. ცნობის მისაღებად სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტების შენახვის ვადა განისაზღვრება მომსახურების გაწევიდან /მომსახურების გაწეულად ჩათვლიდან ან მომსახურების გაწევაზე უარის თქმიდან ერთი წლის ვადით.“.

მუხლი 2

ცნობის მისაღებად საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ამ ბრძანების ამოქმედებამდე წარდგენილი დოკუმენტები ინახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან 3 თვის ვადით.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — **ვახტანგ გომელაური**